მოწვევა პრეკვალიფიკაციის ეტაპზე / ინტერესის გამოხატვის მიზნით

კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების მიზნით - იმერეთის რეგიონი: **კონტრაქტი IM-1/P3:** **სამტრედიის წყალმომარაგება: ძირითადი ქსელი**	**წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა** **2023 წლის 14 ნოემბერი** **03:00 pm საქართველოს დროით**

ქვეყანა:	**საქართველო**
№:	**IM-1/P3**
KfW შესყიდვის №:	**510047**

პროექტის აღმასრულებელი ორგანო (PEA): შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (წყალმომარაგების კომპანია)

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ პრეკვალიფიკაციის ეტაპზე იწვევს კონტრაქტორებს IM-1/P3 კონტრაქტის ფარგლებში შემდეგი სამუშაოების ჩატარების მიზნით შესაფასებლად (შენიშვნა: შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა პირობითია და შეიძლება შეიცვალოს):

წყალმიმღები:

- საფილტრე გალერეების განახლება
- შემკრებ კამერასა და შახტურ ჭებს შორის მილსადენების სრული გამოცვლა
- დონმზომებისა და ხარჯმზომების მოწყობა
- საქლორატოროს გამოცვლა
- SCADA სისტემის გამოცვლა (მხოლოდ მონიტორინგი)

მაგისტრალური მილი:

- წყლის მაგისტრალური მილის (15 კმ, ჭედადი თუჯი, DN 600) შეცვლა
- საუბნო აღრიცხვის მრიცხველების, ვანტუზებისა და გამრეცხი მილების მოწყობა
- მდინარეზე ორი კვეთა
- SCADA სისტემის მოწყობა (მხოლოდ მონიტორინგი)

წყალმომარაგების ქსელი:

- დაახლოებით 40 კმ არსებული მილების, მათ შორის, 3750 სახლის დაერთების შეცვლა
- დაახლოებით 1.5 კმ ახალი მილების მოწყობა (ქსელის დეზინფექცია), მათ შორის, დაახლოებით 220 სახლის დაერთება.
- 55 მრავალსართულიანი ბინის გამრიცხველიანება.

სამუშაოები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ რეგულაციებს.

პრეკვალიფიკაცია ჩატარდება იმ პროცედურების მიხედვით, რომლებიც გაწერილია პრეკვალიფიკაციის დოკუმენტში. პრეკვალიფიკაცია ღიაა ყველა დასაშვები

აპლიკანტისათვის, რომელთა დასაშვებობა მონაწილეობის მიზნით განმარტებულია KfW-ს შესყიდვების სახელმძღვანელო დოკუმენტში (www.kfw-entwicklungsbank.de), 2021 წლის იანვრის ვერსია.

სამუშაოები გატენდერდება KfW-ს სტანდარტული შესყიდვების დოკუმენტების შესაბამისად. სამუშაოები ჩატარდება FIDIC საკონტრაქტო პირობებით (FIDIC საკონტრაქტო პირობები დამკვეთის მიერ დაპროექტებული შენობებისა და საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისათვის, მრავალმხრივი განვითარების ბანკის ჰარმონიზებული ვერსია, 2010 წლის ივნისი, FIDIC ვარდისფერი წიგნი, 2010 წლის ივნისი).

დაინტერესებულ დასაშვებ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და პრეკვალიფიკაციის სრული კომპლექტი ინგლისურ ენაზე უფასოდ ელექტრონული ფოსტით წარდგენილი წერილობითი განაცხადის საფუძველზე. ელექტრონული ფოსტის მისამართი:

Info.procurement@water.gov.ge

ყველა შეტყობინების ასლში უნდა იყოს მითითებული:

e.piranishvili@water.gov.ge

პრეკვალიფიკაციის განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიოდ აღნიშნულ კონვერტებში და მიტანილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

03:00 pm საქართველოს დროით, 14 ნოემბერი, 2023

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ადრესატი: გუგა კაკაბაძე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მოადგილე და ეთერ ფირანიშვილი, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N5

0186, თბილისი

საქართველო

დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება.